საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №26/247-18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 3 ოქტომბრის №26/247 საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- ხანგრძლივი გაჭიანურების შემდეგ გამოიტანა გადაწყვეტილება მიზერული თანხის ანაზღაურების თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

ამასთან, სამჯერ უშედეგოდ მიმართა მოსამართლეს გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით, რაც ექვსი თვეა არ ჩაბარებია და რასაც ვერ ასაჩივრებს.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- 2015 წლის 14 აგვისტოს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 აგვისტოს განჩინებით, სარჩელზე დადგინდა ხარვეზი. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 სექტემბრის განჩინებით, -- -- სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 სექტემბერს, 9 ოქტომბერს და 12 ნოემბერს გაიმართა სასამართლო მოსამზადებელი სხდომები.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 ნოემბრის მოხსენების საფუძველზე ადმინისტრაციული საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2015 წლის 17 დეკემბერს -- -- გაეგზავნა საქმეზე მესამე პირად ჩართული პირის წერილობითი პასუხი და თანდართული საბუთების ასლები.

-- -- წარმომადგენელმა 2016 წლის 21 იანვარს მიმართა სასამართლოს მტკიცებულების საქმეზე დართვის თხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- მიერ 2016 წლის 12 აპრილს გაიმართა სასამართლო მოსამზადებელი სხდომა.

2016 წლის 12 აპრილის საოქმო განჩინების საფუძველზე, 2016 წლის 18 აპრილს გამოთხოვილ იქნა სისხლის სამართლის საქმე.

2016 წლის 20 და 23 მაისს მხარეებს გაეგზავნათ მასალები ადმინისტრაციული საქმიდან.

2016 წლის 6 ივნისის ცნობის თანახმად, საარჩევნო საქმის განხილვა-მომზადების გამო, 2016 წლის 7 ივნისს დანიშნული სხდომა გადაიდო.

2016 წლის 7 ივნისს -- -- წარმომადგენელს გაეგზავნა მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

მორიგი სასამართლო სხდომა დაინიშნა 2016 წლის 20 დეკემბერს, რის შესახებაც ეცნობათ მხარეებს.

შსს-ს წარმომადგენელმა 2016 წლის 16 დეკემბერს შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს შვებულების გამო სხდომის სხვა დროისთვის გადადების თაობაზე. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2016 წლის 20 დეკემბრის განჩინებით, სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გადაიდო სხვა დროისთვის.

2017 წლის 13 დეკემბერს გაიმართა სასამართლო მთავარი სხდომა. სხდომები ჩატარდა 2018 წლის 16 იანვარს, 28 თებერვალს და 17 აპრილს. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2018 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

-- -- წარმომადგენელმა 2018 წლის 6 ივნისს განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის თხოვნით.

-- -- სარჩელის განხილვის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიღების თხოვნით, -- -- სასამართლოს 2018 წლის 28 ივნისს წერილით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს -- -- დეპარტამენტმა.

-- -- 2018 წლის 17 ივლისს განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების თხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- თანაშემწის 2018 წლის 10 სექტემბრის წერილით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს -- -- დეპარტამენტს ეცნობა საქმის განხილვის დასრულების და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ გადაწყვეტილება იყო მომზადების პროცესში და შესული არ იყო კანონიერ ძალაში.

-- -- 2018 წლის 19 სექტემბერს განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- დასაბუთებული გადაწყვეტილების მოკლე დროში ჩაბარების თხოვნით, რადგან აპირებდა მის გასაჩივრებას.

-- -- 2018 წლის 25 ოქტომბერს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს თავმჯდომარეს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაუბარებლობასთან დაკავშირებით.

საქმის მასალების თანახმად, 2018 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება -- -- ჩაბარდა 2018 წლის 21 ნოემბერს.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდეს შსს-მ (05.12.2018) და -- -- (07.12.2018).

2.2. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა და მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. -- -- სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით, მოსამართლე -- -- განსახილველად ეწერა:

- 2017 წელი - ადმინისტრაციული საქმე - 684, საიდანაც დასრულდა - 558 საქმე (82%), სამართალდარღვევის საქმე - 292, საიდანაც დასრულდა - 292 საქმე (100%).
- 2018 წელი - ადმინისტრაციული საქმე - 685, საიდანაც დასრულდა - 556 საქმე (81%), სამართალდარღვევის საქმე - 55, საიდანაც დასრულდა - 55 საქმე (100%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 19 თებერვლის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 3 ოქტომბრის №26/247 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო

სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა (მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) და „დ“ ქვეპუნქტით (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2020 წლის 2 ოქტომბერს სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული გარემოებების შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინურ საქმეზე მსჯელობისას მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მოსარჩელეს გადაწყვეტილება ჩააბარა 5 თვესა და 17 დღეში. აღნიშნული ვადით გადაწყვეტილების ჩაუბარებლობა, იმის გათვალისწინებით, რომ საქმის განხილვა გრძელდებოდა თითქმის 2 წლისა და 6 თვის განმავლობაში, აზარალებდა მხარის ინტერესებს.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს და 13 წევრთაგან 13 ხმით მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ.

5. მოსამართლე -- -- ახსნა-განმარტება:

მოსამართლე -- -- ახსნა-განმარტება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარადგინა 2020 წლის 1 დეკემბერს. მოსამართლემ ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ მართალია დაარღვია საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გაგზავნის ვადები, თუმცა აღნიშნული გამოწვეული იყო დატვირთულობით და ახსნა-განმარტებაში ყურადღება გაამახვილა სტატისტიკურ მონაცემებზე, მიღებულ გადაწყვეტილებებისა და სხდომების რაოდენობაზე.

რაც შეეხება უშუალოდ გადაწყვეტილების მიღებიდან დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების პერიოდს, მოსამართლემ აღნიშნა, რომ 2018 წლის მაის-ნოემბერში განსახილველად გადაეცა 328 ადმინისტრაციული საქმე, საიდანაც დაასრულა 320. მათ შორის, არსებითი გადაწყვეტილებით 185 საქმე. ასევე, საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 561 პროცესი.

6. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა“ (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ

აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tierce and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 5 ნოემბერი, II 17-19

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[2]

ამდენად, მხარეთა უფლება მათი სარჩელის მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გონივრულ ვადაში განხილვის შესახებ, მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა. მოსამართლე საქმის წარმოების დასაწყისიდანვე უნდა აკონტროლებდეს სამართალწარმოების ვადებს და მის ხანგრძლივობას, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პროცესუალური მოქმედებების თარიღებს. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

აღსანიშნავია, რომ ქმედების საპროცესო ვადის არსებით დარღვევად მიჩნევისთვის, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ საქმის განხილვის ვადებთან ერთად, მხედველობაში მიიღება საქმის მოსამართლის წარმოებაში ყოფნის პერიოდი, საქმეთა სიმრავლე, დატვირთულობა და განსახილველ საქმესთან მიმართებაში მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით, მოსამართლე -- -- გადაწყვეტილება მიიღო 2018 წლის 16 მაისს, მოსამართლემ დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს ჩააბარა 5 თვესა და 17 დღეში.

დისციპლინურ საქმეზე მსჯელობისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაითვალისწინა მოსამართლის მიერ წარდგენილი ახსნა-განმარტება. მიუხედავად საპროცესო ვადის არსებითი დარღვევისა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იმსჯელა სტატისტიკური მონაცემებსა და მოსამართლის დატვირთულობაზე.

7. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

[2] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის ამ კანონის 75^{10} მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

2022 წლის 10 ნოემბერს გამართულ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რვა წევრმა, დისციპლინური საქმის გამოკვლევის საფუძველზე მოსამართლის დატვირთულობის შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საფუძვლები, ხოლო ერთმა წევრმა მიიჩნია, რომ მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში უნდა მიცემულიყო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის და ამავე ორგანული კანონის 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხოლოდ რვა წევრმა დაუჭირა მხარი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე და 75^{13} მუხლების საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №247/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი